ქალთა მიმართ ძალადობის რისკის კვლევა

2023

სარჩევი

ძირითადი შედეგები 3

შესავალი 6

სხვადასხვა ორგანიზაციის/ინსტიტუციის მიერ შემუშავებული ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორები 9

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის პრევენციის და მასზე რეაგირების, სხვადასხვა ქვეყნის მუნიციპალიტეტების ინიციატივები 10

ქალთა ფონდი „სოხუმის“ რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია 11

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები 11

დემოგრაფიული მონაცემები 11

პირადი უსაფრთხოება 13

ოჯახში ძალადობა/ძალადობის ფორმები 16

ინფორმირება ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ 18

ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობა 21

ოჯახში ძალადობის ძირითადი მიზეზები 22

დასკვნა 24

რეკომენდაციები 24

2023

პუბლიკაცია მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციის
Brot für die Welt (პური მსოფლიოსთვის)
ფინანსური მხარდაჭერით

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,
არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

ძირითადი შედეგები

ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ სამიზნე მუნიციპალიტეტებში განხორციელებული რაოდენობრივი კვლევის მიზანია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის რისკების განსაზღვრა და შეფასება, შემთხვევებზე დროული რეაგირების მოხდენისა და რელევანტური ადვოკატირების გაწევისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 1003 რესპონდენტი (ქალი), 10 სამიზნე მუნიციპალიტეტში - ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, ბაღდათი, ჩოხატაური, სამტრედია, ქობულეთი.

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე კვლევისას მნიშვნელოვანია სწორი და რელევანტური ინდიკატორების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ძალადობის შემთხვევების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას და, შესაბამისად, ძალადობის პრევენციას. სხვადასხვა წყაროს მიხედვით შემუშავებული ინდიკატორები შესაძლოა გაერთიანდეს ორ დიდ ჯგუფში:

1. ინდიკატორები, რომლებიც ზომავენ აღნიშნული მოვლენის მასშტაბს;

2. ინდიკატორები, რომლებიც ზომავენ სახელმწიფოს რეაგირებას/პასუხს არსებულ პრობლემაზე.

აღნიშნულ ჯგუფებში წარმოდგენილი ინდიკატორები მოიცავს ოთხ სხვადასხვა ქვეჯგუფს **(„დრაივერს“), რომლებიც განიხილება ოთხ ძირითად დონეზე: სოციეტალური, ინსტიტუციური/სისტემური, ორგანიზაციული/სათემო, ინიდივიდუალური/ინტერპერსონალური (ურთიერთობების). სხვადასხვა ორგანიზაციის/ინსტიტუციის მიერ შემუშავებული ინდიკატორები** აღნიშნულ „განზომილებებში მოძრაობს“ და სტატისტიკურად აანალიზებს მათ.

ზოგადი შეფასებით, **ინდივიდუალური რისკ ფაქტორები ბიოლოგიურია და/ან ინტერპერსონალური:** მაგ.: ძალადობის ისტორია ოჯახში, ძალადობრივი ქცევის გამოვლენა განსხვავებულ პირობებში, ნივთიერებაზე (ალკოჰოლი, ნარკოტიკული საშუალება) დამოკიდებულება, უმუშევრობა, ანტისოციალური ქცევა, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა/ემოციური დამოკიდებულება/დაბალი თვითშეფასება და ა.შ.; პარტნიორზე დომინირების და კონტროლის მცდელობა, ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობა, კონფლიქტური ურთიერთობები, კომუნიკაციის ცუდი უნარები, ეჭვიანობა და ა.შ.;

სოციეტალური, ინსტიტუციური და ორგანიზაციული რისკ ფაქტორები ასახავს სისტემურ რეაგირებას მამაკაცის მიერ ძალადობრივი ქცევის გამოვლენაზე. ეს ფაქტორები მოიცავს სკოლების, ეკლესიის, მედიის, სამართლებრივი სისტემის, სოციალური ნორმების, გენდერული როლების და ა.შ. გავლენას[1]. დაავადებათა კონტროლისა და პრე-

1. Violence against women: Risk factors, consequences and prevalence. Sherry L. Hamby and Mary P. Koss. Arizona Prevention Center, College of Medicine. University of Arizona. გვ. 13 – 28. ხელმისაწვდომია - https://www.researchgate.net/publication/276847446–Violence–against–women–Risk–factors–consequences–and–prevalence

ვენციის ცენტრის (CDC) მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი, რომელიც თანხვედრაშია ზემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორებთან/ფაქტორებთან/დონეებთან, გულისხმობს, რომ ძალადობის პრევენციისთვის ცვლილებები უნდა განხორციელდეს როგორც თითოეულ ინდიკატორთან/ფაქტორთან მიმართებაში, ასევე ერთობლიობაში - მაგ.: ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული განათლების, ტრენინგების, პრევენციული პროგრამების და პოლიტიკის ცვლილების გზით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ CDC-ის მიხედვით (და ემპირიულადაც დადასტურებულია) **ინდივიდუალური, ინსტიტუციური, სათემო/ორგანიზაციული და სოციეტალური** ფაქტორები/დონეები ერთმანეთის პირდაპირპროპორციულია - ცვლილების განხორციელება ერთი მიმართულებით, ახდენს გავლენას და იწვევს ცვლილებებს სხვა ფაქტორებთან/დონეებთან მიმართებაში.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები მიუთითებს პირად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეების შესახებ, რომლებიც, რესპონდენტების მიხედვით, პირველ რიგში, უკავშირდება **უმუშევრობასა და სიღარიბეს.** ზოგადად, უსაფრთხოების განცდა **საშუალო** ნიშნულზეა. თუმცა, საკითხისადმი ჩაღრმავებისას იკვეთება რესპონდენტების მიმართ სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და სიტყვის თავისუფლებისთვის საფრთხის შემქმნელი ქმედებების არსებობა:

იმ რესპონდენტებმაც კი, ვინც პიროვნული უსაფრთხოების მაღალი დონე დააფიქსირეს (ე.ი. შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს და შეაფასეს „4“ და „5“ ქულით), ასევე მიუთითეს კონკრეტული საფრთხის შემცველი ქმედებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა მათ ცხოვრებაში: **44 შემთხვევაში საფრთხე ემუქრებოდა სიცოცხლეს, 116 შემთხვევაში - ჯანმრთელობას, 72 შემთხვევაში - საკუთრებას, ხოლო 62 შემთხვევაში - სიტყვის თავისუფლებას.**

ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმებთან დაკავშირებით, ძირითადად, დასახელდა ძალადობის ის ფორმა, რომლის შესახებ საუბარი გაცილებით ნაკლებად პრობლემურია რესპონდენტებისთვის - **ფსიქოლოგიური ძალადობა.** გამოკითხულთა მეხუთედს პირადად განუცდია ძალადობა, ან მიუთითებს საკუთარ ახლობელზე (35.1%), რომელიც ძალადობრივ სიტუაციაში აღმოჩნდა. **212 რესპონდენტი საუბრობს, რომ პირადად ის ან მისი ახლობლები აღმოჩენილან ოჯახში ძალადობის სიტუაციაში - მათგან 100 შემთხვევაში დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის პირადი გამოცდილება.**

კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ **პრობლემურია თავად ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირება/ძალადობის აღქმა არა მხოლოდ საზოგადოების რიგითი წევრების, არამედ ძალადობის მსხვერპლის მიერაც კი. ზემოაღნიშნულის მიზეზი კი, ძირითადად, დაკავშირებულია საკუთარი პრობლემების აღიარების შიშთან** (რაც კარგად გამოჩნდა მიზეზების ანალიზისას, თუ რატომ არ მიმართავენ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებს, ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში). მოძალადის იდენტიფიცირებისას ცალსახად გამოიკვეთა **„ქმარი“ (საშუალო მაჩვენებელი (Mean) 4.0)**,

როგორც ოჯახში ძალადობის ძირითადი ჩამდენი, რაც თანხვედრაშია ოფიციალური სტატისტიკის შედეგებთან[2].

ძალადობის ფაქტების, ძალადობის რისკების იდენტიფიცირებისა და მათი რაოდენობის და გავლენის შემცირებისათვის მნიშვნელოვანი როლი აქვს ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების გამოყენებას. ამისათვის, აღნიშნული სერვისები უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და მოსახლეობა - ფართოდ ინფორმირებული. **კვლევამ აჩვენა, რომ ამ ორი მიმართულებით არსებობს ხარვეზები, რაც მოითხოვს საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლებას და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას,** კერძოდ: ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის რამდენიმე სერვისის შესახებ ინფორმირებულია გამოკითხულთა თითქმის ნახევარი, ხოლო სერვისების მისაღებად **არავისთვის მიუმართავს** 16.6%-ს[3].

გამოკითხული **რესპონდენტი ქალების ნახევარზე მეტისთვის (55%) ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები ნაკლებად ან სრულად არახელმისაწვდომია** (მათგან 36% მიუთითებს სრულ არახელმისაწვდომობას). რაც შეეხება ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმირების წყაროს, მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი (შემთხვევათა 63.3%) და სოციალური ქსელები (შემთხვევათა 57.5%), თუმცა მიმართვიანობის თვალსაზრისით, არასამთავრობო ორგანიზაციები რიგით მეოთხეა (შემთხვევათა 37.8%). მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ადგილობრივი ხელისუფლების (რომელიც მოსახლეობასთან ყველაზე „ახლოს მყოფია" და სერვისების მიმწოდებელი) და პოლიციის (112) მიმართ. **ცალსახად იკვეთება არასამთავრობო სექტორის, როგორც სერვისების მიმწოდებლის, როლის შესახებ მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობის საჭიროება.**

ოჯახში ძალადობის მიზეზების დასახელებისას ყველაზე მეტად იკვეთება ნივთიერებაზე (ალკოჰოლი, ნარკოტიკი) დამოკიდებულება (შემთხვევათა 51.7%), გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ადგენენ სუბორდინირებულ როლს ქალისთვის და გადაწყვეტილების უპირობო მიმღებს - კაცისთვის (შემთხვევათა 42%), მატერიალური სიდუხჭირე (შემთხვევათა 40.3%) და უმუშევრობა (შემთხვევათა 38%).

რეკომენდაციები მოიცავს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებს, ცნობიერების ამაღლების კამპანიას, მუნიციპალიტეტების როლის გაძლიერებას, ურთიერთთანამშრომლობას სხვადასხვა რელევანტურ უწყებას შორის, მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას, რელევანტური სპეციალისტების უწყვეტ გადამზადებას.

---

2 2023 წლის ოჯახში ძალადობის სტატისტიკის იანვარი-სექტემბრის მონაცემებით, ძალადობის ძირითადი ჩამდენი მამაკაცია - შემაკავებელი ორდერების საერთო რაოდენობა 6510; მათგან 73.5% (4785) გამოწერილია მოძალადე მამაკაცის მიმართ. **ოფიციალური წყარო: შსს**. ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/65410fd3787f7.pdf

3 საერთო რაოდენობის 16.6% - სულ 166 რესპონდენტი. მიზეზად, უმეტესობა (77 შემთხვევა 130-დან) ასახელებს, **რომ არ სურდათ ინფორმაციის გამჟღავნება მათი პრობლემის შესახებ**. 36-მა რესპონდენტმა აღნიშნულ კითხვაზე პასუხს თავი აარიდა.

შესავალი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დონის გაზომვისათვის გამოკვეთილია ინდიკატორები, რომლებიც ერთიანდება ორ ძირითად ჯგუფში: **1. ინდიკატორები, რომლებიც ზომავენ აღნიშნული მოვლენის მასშტაბს; 2. ინდიკატორები, რომლებიც ზომავენ სახელმწიფოს რეაგირებას/პასუხს არსებულ პრობლემაზე.** ინდიკატორების გაზომვა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მაგ.: კრიმინალური სტატისტიკა, კვლევები, რომლებიც უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს, მასთან დაკავშირებული გამოწვევების ანალიზი და ა.შ.[4]

გენდერული ძალადობა გავლენას ახდენს ყველა სფეროს/სექტორის ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ძალადობის საფრთხეებისა და რისკების გამოვლენა და გაანალიზება და მათი აღმოფხვრის შესაბამისი სტრატეგიების ინტეგრირება შესაბამის პოლიტიკურ დოკუმენტებსა და პროგრამებში, **ვინაიდან გენდერული ძალადობა არ არის იზოლირებული პროცესი/ქმედება,** არამედ დაკავშირებულია იმ რისკებთან, რომელთაც შეიცავს გარემო/კონტექსტი[5].

დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა (CDC) შეიმუშავა სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი, რომელიც აჩვენებს ოჯახში ძალადობაზე ზეგავლენის მომხდენი ოთხი **ცვლადის/დონის ურთიერთგადაკვეთას.** აღნიშნული ფაქტორებია: **ინდივიდუალური** (სქესი, ასაკი, განათლება, ნივთიერების მოხმარება და სხვ.), **ურთიერთობის** (თანასწორები (peers), ოჯახის წევრები და ა.შ.), **თემის (community)** (სკოლები, სამუშაო ადგილები, გარემო) და **სოციეტალური** (მოიცავს ჯანდაცვის, განათლების და სოციალურ პოლიტიკას)[6].

კვლევების შედეგად გამოიყო **ოთხი ძირითადი ე.წ. „დრაივერი"/ფაქტორი. რომელიც იძლევა ძალადობის გამოვლენის წინასწარ განსაზღვრის საშუალებას.** ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა გულისხმობს მოცემულ ოთხ ფაქტორზე/ „დრაივერზე" ფოკუსირებას და მათ გათვალისწინებას: (i) ქალთა მიმართ ძალადობის გამართლება; (ii) მამაკაცების კონტროლი გადაწყვეტილების მიღებაზე და ქალების დამოუკიდებლობის შეზღუდვა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ურთიერთობებში; (iii) მკაცრი გენდერული როლები და მასკულინობა-ფემინურობის სტერეოტიპული კონსტრუქტების არსებობა; (iv) მამაკაცების დამოკიდებულება ქალებისადმი, როდესაც მკვეთრად გამოხატულია აგრესია და უპატივცემულობა.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორი შესაძლებელია განვიხილოთ ოთხ დონეზე: **ინდივიდუალური/ინტერპერსონალური, ორგანიზაციული/სათემო, ინსტიტუციური/**

---

4 Indicators to measure violence against women. Expert Group Meeting Organized by: United Nations Division for the Advancement of Women United Nations Economic Commission for Europe United Nations Statistical Division In collaboration with: UN ECA UN ECLAC UN ESCAP UN ESCWA. გვ. 4 -14. ხელმისაწვდომია - https://www.un.org/womenwatch/daw/egm/IndicatorsVAW/IndicatorsVAW–EGM–report.pdf

5 Data Collection For Gender-based Violence Risk Mitigation. გვ. 1. ხელმისაწვდომია - https://gbvguidelines.org/wp/wp-content/uploads/2021/08/GBV-Risk-Analysis-Guidance-2021.pdf

6 The Dangers of Domestic Violence and the Importance of Prevention. By IHPL - April 1, 2019. Kaitlin Brehaut, MPH, CHES. გვ. 3 - ხელმისაწვდომია - https://ihpl.llu.edu/blog/dangers-domestic-violence-and-importance-prevention

სისტემური და სოციეტალური (აღნიშნული დონეები თითქმის თანხვდება CDC-ის მიერ შემუშავებულ ცვლადებს)[7],[8]: (იხ. ცხრილი №1)

ცხრილი №1

	სოციეტალური	**ინსტიტუციური/ სისტემური**	**ორგანიზაციული/სათემო**	**ინდივიდუალური/ინტერ-პერსონალური (ურთიერთობების)**	**გამოსავალი**
ქალთა მიმართ ძალადობის გამართლება	მამაკაცის წარმოჩენა როგორც მენტალურად დაავადებულის, ნივთიერებაზე დამოკიდებულის, მისი პირადი პასუხისმგებლობის შემცირების მიზნით	ქალის მეორადი ვიქტიმიზაცია, მაგ., სასამართლოში. მამაკაცის მხრიდან ქალის დადანაშაულება იმაში, რომ ძალადობის ფაქტი მოიგონა და მამაკაცის საზიანოდ ავრცელებს სიცრუეს	მოძალადეების მიღწევების წინა პლანზე წამოწევა, მაგ., სპორტული მიღწევების	მოზარდ ბიჭებში აგრესიული ქცევის, როგორც „კაცობის“ გამოვლინების წახალისება	ქალების დამოუკიდებლობის გაზრდა/ ხელშეწყობა, პოზიტიური, თანასწორი ურთიერთობების განვითარება. ცნობიერების ამაღლება
მამაკაცების კონტროლი გადაწყვეტილების მიღებაზე და ქალების დამოუკიდებლობის შეზღუდვა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ურთიერთობებში	ქალის „ხატის“ წარმოჩენა, როგორც მამაკაცზე დამოკიდებულის და/ან მხოლოდ მამაკაცთან დაკავშირებულის, მაგ., მედიაში; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ნაკლებობა	მამაკაცების დომინირება ლიდერულ თანამდებობებზე (ვერტიკალური დისკრიმინაცია), იმ ინსტიტუციებშიც კი, სადაც ქალები მეტად არიან დასაქმებულნი (სკოლა, სამედიცინო დაწესებულება), ქალების შედარებით დაბალი ანაზღაურება	მამაკაცის, როგორც ძირითადი „მარჩენალის“ აღიარება, რომელიც აკონტროლებს ყველა ხარჯს; დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს ქალის საჭიროებაზე მორგებულ სამუშაო პირობებს, მაგ., ნახევარ განაკვეთზე დასაქმება ან სახლიდან, დისტანციურად მუშაობა	მაგ., სტატისტიკურად, სიტყვით გამოსვლისას ქალებს უფრო ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას, ვიდრე კაცებს; საბაზისო მოთხოვნებზე წვდომის ნაკლებობა (მაგ.: საკვები, წყალი, საცხოვრისი, ჰიგიენური საშუალებები და ა.შ.)	ქალებისთვის ლიდერობის ტრენინგებში და სხვადასხვა პროგრამაში ჩართვა, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, სოციალური ურთიერთობების განვითარება ქალებისთვის და ა.შ.

7. Data Collection For Gender-based Violence Risk Mitigation. გვ. 2 - 4. ხელმისაწვდომია - https://gbvguidelines.org/wp/wp-content/uploads/2021/08/GBV-Risk-Analysis-Guidance-2021.pdf

8. Unpacking The Gendered Drivers Of Violence Against Women. Condoning of Violence Against Women. ხელმისაწვდომია - https://www.respectatwork.gov.au/resource-hub/unpacking-gendered-drivers-violence-against-women

მკაცრი გენდერული როლები და მასკულინობა-ფემინურობის სტერეოტიპული კონსტრუქტების არსებობა	მამაკაცები განიხილებიან როგორც მეტად პრაქტიკული, რაციონალური, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღები პირები. ორმაგი სტანდარტები, სადაც აგრესიულობა და ლიდერის თვისებები მამაკაცისთვის წახალისებულია, ხოლო ქალს უარყოფითად წარმოაჩენს	მაგ., ქალი სპორტსმენების მიღწევების გაუბრალოება; დაბალი ანაზღაურება; მედიაში ნაკლები ყურადღების დათმობა და ა.შ.	მაგ., დეკრეტული შვებულების მხოლოდ ქალის აუცილებლობად აღიარება და ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობის აღქმა მხოლოდ ქალის მისამართით; მოწყვლადი ჯგუფებისთვის შემოსავლების მიღების სხვადასხვა საშუალების ნაკლებობა	გამოთქმები: „გოგოსავით ნუ იქცევი,“ „გოგოსავით ტირი“ - მათ შორის მამაკაცებს აქცევს წნეხის ქვეშ; შინამეურნეობის რესურსების გენდერულად არასამართლიანი განაწილება	ცნობიერების ამაღლება; დასაქმების პოლიტიკის შეცვლა; ქალების წახალისება სპორტის და STEM საგნებში მეტად ჩართულობისთვის
მამაკაცების დამოკიდებულება ქალებისადმი, როდესაც მკვეთრად გამოხატულია აგრესია და უპატივცემულობა	მაგ., ინტერნეტ ჯგუფები, რომლებიც გამოირჩევიან აგრესიით და ბულინგით ქალთა მიმართ, აქტიურობას განაგრძობს, რადგან არ არსებობს სტანდარტები მათ გასაუქმებლად	მაგ., წარმოდგენები იმის შესახებ, რომ სექსიზმი, გენდერული დისკრიმინაცია და ა.შ. სამუშაო ადგილებზე, სადაც მამაკაცები დომინირებენ, მაგ., პოლიცია. ნორმალური მოვლენაა და ვერ შეიცვლება.	მაგ., გარკვეული თემების განხილვა მხოლოდ „კაცურ“ საუბრებში და არა ფართო ჯგუფში, სადაც ქალები არიან წარმოდგენილი.	მაგ., ახალგაზრდა მამაკაცები ქალის პირად ინფორმაციას ავრცელებენ მასთან შეუთანხმებლად.	საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმირების ამაღლებით; ტრენინგების ჩატარება კაცებისა და ბიჭებისთვის და ა.შ.

ცხრილში მოცემული ოთხი დონე (ცვლადი) **ურთიერთგადამკვეთი და პირდაპირპროპორციულია,** ე.ი. ერთი მათგანის ცვლილება იწვევს ცვლილებებს სხვა ცვლადებშიც. მაგ., ინდივიდუალური ფაქტორის ცვლილებები იწვევს დამოკიდებულებების, რწმენების, ქცევის გაუმჯობესებას, რომელიც თავისთავად უკვე წარმოადგენს ოჯახში ძალადობის ერთგვარ პრევენციას. სოციალური პოლიტიკის ცვლილებამ შესაძლოა გაამყაროს თემში არსებული ურთიერთობები და შეამციროს ძალადობა[9].

9. The Dangers of Domestic Violence and the Importance of Prevention. By IHPL - April 1, 2019. Kaitlin Brehaut, MPH, CHES. გვ. 4 - ხელმისაწვდომია - https://ihpl.llu.edu/blog/dangers-domestic-violence-and-importance-prevention

სხვადასხვა ორგანიზაციის/ინსტიტუციის მიერ შემუშავებული ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორები

Economic Commission for Latin America and the Caribbean (ECLAC)-მა ჩამოაყალიბა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 5 ასპექტი, რომელიც მოიცავს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური და გაუმჟღავნებელი ძალადობის დონეებს.

Economic and Social Commission for Asia and the Pacific (ESCAP)-მა ჩამოაყალიბა შემდეგი ინდიკატორები: ოჯახში ძალადობის გავრცელების სიხშირე (პრევალენტურობა); ქალთა მიმართ ჩადენილი კრიმინალური/ძალადობრივი ქმედებები; ქალების/გოგოების ტრეფიკინგი; ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზები და შედეგები; ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირების შესახებ კონვენციის რატიფიცირება; ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სპეციფიკური კანონმდებლობის არსებობა.

Economic and Social Commission for Western Asia (ESCWA)-მ განსაზღვრა: ქალების ხვედრითი წილი, რომლებმაც განიცადეს სექსუალური ძალადობა და შეიტანეს საჩივარი კალენდარული წლის განმავლობაში, გაყოფილი ყველა ასაკის ქალის საერთო რაოდენობაზე, გამრავლებული 100.000-ზე მოძალადეების რაოდენობის მიხედვით; ოჯახში ძალადობის გავრცელების სიხშირე (პრევალენტობა); „ღირსების დანაშაულის" რაოდენობა/სტატისტიკა; დიასახლისების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა.

ევროსაბჭო - იყენებს შემდეგ ინდიკატორებს ქალთა მიმართ ძალადობის პოლიტიკის პროგრესის მონიტორინგისთვის: აფიქსირებს თუ არა პოლიციის სტატისტიკა მსხვერპლის სქესს, სხვა სამართალდარღვევებთან მიმართებაში, აგრეთვე მოძალადის სქესს და მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობას/დამოკიდებულებას; გროვდება თუ არა სისტემატური სამედიცინო ინფორმაცია სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებით იმ ქალების შესახებ, ვის მიმართაც განხორციელდა ძალადობა; არის თუ არა ჩართული კითხვები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ რეგულარულ რეპრეზენტატულ გამოკითხვებში ეროვნულ დონეზე; ფოკუსირდება თუ არა ეროვნული რეპრეზენტატული გამოკითხვები ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე და ა.შ.[10]

მსოფლიო ბანკის ქვეყნის პოლიტიკის და ინსტიტუციური შეფასების (The World Bank's Country Policy and Institutional Assessment (CPIA)) საზომები მოიცავს 16 ინდიკატორს, სადაც სხვადასხვა სახის მონაცემი მოიაზრება, მაგ.: განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმარება, ბიზნესის ფლობა და მენეჯმენტი, მიწის ფლობა და საკუთრების უფლება, ქალთა მიმართ ძალადობაზე მიმართული სამართლებრივი ღონისძიებები, პოლიტიკური მონაწილეობა, ეკონომიკურ რესურსებზე წვდომა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ქალთა სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე მიუთითებს, რომ ქალები არ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ მოცემულ საზოგადოებაში და კონფლიქტური სიტუაციის და-

10. Indicators to measure violence against women. Expert Group Meeting Organized by: United Nations Division for the Advancement of Women United Nations Economic Commission for Europe United Nations Statistical Division In collaboration with: UN ECA UN ECLAC UN ESCAP UN ESCWA. გვ. 4 – 14. ხელმისაწვდომია - https://www.un.org/womenwatch/daw/egm/IndicatorsVAW/IndicatorsVAW–EGM–report.pdf

რეგულირების შესაძლებლობა სუსტია. ასევე ერთ-ერთი ინდიკატორია დაუსაქმებელი და ეკონომიკურად არააქტიური ახალგაზრდა მამაკაცების დიდი რაოდენობა, როგორც არასტაბილურობის პოტენციური წყარო.[11]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის პრევენციის და მასზე რეაგირების, სხვადასხვა ქვეყნის მუნიციპალიტეტების ინიციატივები

ეკვადორში განხორციელდა მსხვერპლის ინტეგრირებული დაცვის სისტემა, რაც გულისხმობდა ადგილობრივ სამართლებრივ ინსტიტუციებთან თანამშრომლობას, შემუშავდა „ძალადობის შემთხვევების რეესტრი“ (Unique registry of violence) - როგორც გენდერული ძალადობის მონიტორინგის ინსტრუმენტი.

ესპანეთში - ბარსელონა გამოირჩევა საკმაოდ მნიშვნელოვანი მუნიციპალური სერვისებით, რომელიც მიზნად ისახავს ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერას (ცნობილია სახელწოდებით SARA). იგი მოიცავს სხვადასხვა სახის მოვლას და მიზნობრივ მომსახურებას, როგორც ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად, ასევე ძალადობის ჩამდენ მამაკაცებთან მუშაობას. ბარსელონის მუნიციპალიტეტს აქვს შემუშავებული ძალადობის და ფემიციდის პრევენციის შესაბამისი პროტოკოლები.

მეხიკოში - იზტაპალაპას მუნიციპალურ ერთეულში ჩამოყალიბდა ძალადობის პრევენციის საკითხზე პოლიტიკური დოკუმენტების მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ადგილობრივი მოხელეებისა და სამოქალაქო აქტივისტებისგან. ამასთან ერთად, გადამზადდა 200 ადგილობრივი საჯარო მოხელე, ჩატარდა უამრავი ვორკშოპი, ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ა.შ.

საფრანგეთში - სენა სენტ დენის უწყებრივმა საბჭომ შექმნა ქალთა მიმართ ძალადობის ობსერვატორია, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ინფორმირებას მათ ტერიტორიულ ერთეულებში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბის შესახებ და ასევე ძალადობის აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებას.

შვედეთში - უმეას მუნიციპალიტეტის მიერ შეიქმნა ცნობიერების ამაღლების ინიციატივა „გენდერული ლანდშაფტი“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქალაქის საზოგადოებრივ სივრცეებში არსებული ძალადობის პოტენციური საფრთხეების გამოვლენა და ასევე უსაფრთხო და ადაპტირებული სივრცეების შექმნის ინიციატივების შემუშავება, რომელიც ქალთა კონკრეტულ მოთხოვნილებებზე იქნებოდა მორგებული.

არგენტინაში - როსარიოს მუნიციპალიტეტში შეიქმნა ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი პროგრამა, რომელიც მოიცავდა მუნიციპალური ცხელი ხაზის და სამუშაო ადგილებზე ქალთა ძალადობისგან დაცვის საჯარო ცენტრების ამოქმედებას. ასევე დაინერგა მონაწილეობითი მიდგომა „ქალთა ქსელის“ შექმნის გზით, რაც

11. Gender-Responsive Early Warning: Overview and How-to Guide. UN Women. გვ. 5. ხელმისაწვდომია - https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2012/10/WPSsourcebook-04E-GenderResponsiveEarlyWarning-en.pdf

ხელს უწყობდა და ახალისებდა სამოქალაქო საზოგადოების და ქალების აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკის ფორმირების პროცესში[12]

ქალთა ფონდი „სოხუმის“ რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის შერჩევა: სულ 1003 რესპონდენტი - ონლაინ გამოკითხვის მეთოდით.

კვლევის სამიზნე ჯგუფები (ქალები): ძალადობის მსხვერპლები, დევნილები (მათ შორის, კოლექტიურ დასახლებებში მცხოვრები), პედაგოგები, სოც. მუშაკები, ექიმები, მეწარმე ქალები).

10 სამიზნე მუნიციპალიტეტი: ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, ბაღდათი, ჩოხატაური, სამტრედია, ქობულეთი.

საველე სამუშაოები: 2023 წლის ივნისი-სექტემბერი.

კვლევის ინსტრუმენტი და გამოკითხვის მეთოდი: რაოდენობრივი კითხვარი, ონლაინ გამოკითხვა.

მონაცემთა ანალიზი: საველე სამუშაოების დასრულების შემდგომ განხორციელდა რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
დემოგრაფიული მონაცემები

დიაგრამა №1



12 Preventing and Addressing Violence Against Women by Local Governments. United Nations Human Rights office of the High Commissioner. Becoming a Human Rights City series. გვ. 3. ხელმისაწვდომია - https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/issues/localgvt/2022-10-28/Local-governments-actions-on-VAW.pdf

დიაგრამა №2



დიაგრამა №3



დიაგრამა №4



პირადი უსაფრთხოება

კვლევის მონაცემების მიხედვით, **ყველა ჩამოთვლილი პრობლემა პირადი უსაფრთხოების თვალსაზრისით, მეტნაკლებად აქტუალურია და უკავშირდება საფრთხის შეგრძნებას, თუმცა ცალსახად გამოკვეთილი საფრთხე დაკავშირებულია დასაქმების პრობლემასთან - უმუშევრობასთან (Mean=4.02).** მაღალი შეფასების ველში მონიშნული პრობლემები ასევე უკავშირდება და გამომდინარეობს დასაქმების პრობლემიდან - სიღარიბე (Mean=3.3), ოჯახში ძალადობა (Mean=3.2), მიგრაციის მზარდი სურვილი (Mean=3.2), ოჯახის წევრის ალკოჰოლზე დამოკიდებულება (Mean=3.1), სამუშაოს დაკარგვის საფრთხე (Mean=3.07), ცუდი საცხოვრებელი პირობები (Mean=3.01). ჩამოთვლილთაგან დანარჩენი მდებარეობს სკალის ნეიტრალურ პუნქტზე ან მის სიახლოვეს. სხვადასხვა ჭრილში გამოვლინდა მსგავსი ტენდენციები. (იხ. ცხრილი №2, დიაგრამა №5)

ცხრილი №2[13]

ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს მთავარ საფრთხეს თქვენი პირადი უსაფრთხოებისთვის?	საშუალო (Mean)	მოდა (Mode)	მედიანა (Median)
უმუშევრობა	4.02	5.0	4.0
სიღარიბე	3.3	3.0	3.0
ოჯახში ძალადობა	3.2	3.0	3.0
ოჯახის წევრის ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებულება	2.9	3.0	3.0
ოჯახის წევრის ალკოჰოლზე დამოკიდებულება	3.1	3.0	3.0
საზოგადოების მხრიდან შეუწყნარებლობა/დისკრიმინაცია	2.9	3.0	3.0
გაზრდილი კრიმინოგენული სიტუაცია	2.9	3.0	3.0
სამუშაოს დაკარგვის საფრთხე	3.07	3.0	3.0
ცუდი საცხოვრებელი პირობები	3.01	3.0	3.0
სწავლის შეწყვეტის საფრთხე (სწავლის მაღალი გადასახადი, ბინის ქირის მაღალი საფასური და ა.შ.)	2.99	3.0	3.0
მიგრაციის მზარდი სურვილი (იძულებული ვიქნები, მიგრაციაში წავიდე)	3.2	3.0	3.0

13 შენიშვნა: საშუალო მაჩვენებლები მოცემულია 5-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ - ნიშნავს საფრთხის დაბალ დონეს, ხოლო ციფრი „5“ - საფრთხის მაღალ დონეს. სკალის ნეიტრალური წერტილი არის „3“. შესაბამისად, მონაცემები 3-ზე ქვემოთ წარმოადგენს დაბალი შეფასების ველს და მიუთითებს „დაბალ რისკს/საფრთხეს“, ხოლო მონაცემები 3-ზე ზემოთ - მაღალი შეფასების ველს და მიუთითებს „მაღალ რისკს/საფრთხეს“.
შენიშვნა 2: მოდა - მონაცემი, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება მონაცემთა ერთობლიობაში; მედიანა - მონაცემი, რომელიც წარმოადგენს დალაგებული მონაცემების ცენტრალურ, შუა მნიშვნელობას.

დიაგრამა №5[14]

როგორ შეაფასებთ პირადი უსაფრთხოების დონეს? N = 1003



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირადი უსაფრთხოების დონეს კვლევაში ჩართული სამიზნე მუნიციპალიტეტების მოსახლეობა აფასებს საშუალოდ (Mean = 3.1)

მართალია, პირადი უსაფრთხოების თვალსაზრისით, ზოგადი სურათი საფრთხის აღქმის საშუალო დონეს მიუთითებს და ერთი შეხედვით ჩანს, რომ უმუშევრობა წარმოადგენს ძირითად გამოწვევას, მაგრამ რესპონდენტებმა დამატებით მიუთითეს, რომ **მათ მიმართ განხორციელებულა ქმედებები, რომლებიც ემუქრებოდა მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან სიტყვის თავისუფლებას - (შემთხვევათა 63.9%).** (იხ. დიაგრამა №6)

14 შენიშვნა: შეფასება განხორციელდა 5-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ ნიშნავს უსაფრთხოების დაბალ დონეს, ხოლო ციფრი „5“ - უსაფრთხოების მაღალ დონეს.

დიაგრამა №6[15]

აღმოჩენილხართ სიტუაციაში, როდესაც თქვენს მიმართ განხორციელდა ქმედებები, რომლებიც ემუქრებოდა თქვენს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, საკუთრებას ან სიტყვის თავისუფლებას? N = 1003



თუ შევადარებთ პირად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების ცხრილს, ოჯახში ძალადობა მაღალი შეფასების ველშია მოქცეული (Mean=3.2), ხოლო **საზოგადოების მხრიდან დისკრიმინაცია, გაზრდილი კრიმინოგენული სიტუაცია და ოჯახის წევრის ნივთიერებაზე/ალკოჰოლზე დამოკიდებულება სკალის ნეიტრალურ წერტილთან ფიქსირდება, მაშინ საფრთხის აღქმის მასშტაბი სავსებით ლოგიკურია (უმუშევრობა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზია/ტრიგერია).**

მოცემულ მოსაზრებას ამყარებს სხვადასხვა ჭრილის გაანალიზებისას გამოვლენილი ნიუანსური განსხვავებები, კერძოდ: ის რესპონდენტები, ვინც პირადი უსაფრთხოების მაღალ დონეს აფიქსირებს (ე.ი. შედარებით უსაფრთხოდ გრძნობს თავს) და მიუთითებს „4“ (288 რესპ.) და „5“ (70 რესპ.) ქულას - სულ 358 რესპონდენტი (35.6% საერთო შერჩევიდან), მათგან 242 რესპონდენტი (ე.ი. აღნიშნული ჯგუფის 67.6%) **<u>მაინც აღნიშნავს, რომ აღმოჩენილა სიტუაციაში, როდესაც მის მიმართ განხორციელდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ქმედებები:</u>** საყურადღებოა, რომ მათგან **44 შემთხვევაში დაფიქსირდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა მათ სიცოცხლეს, 116 შემთხვევაში - ჯანმრთელობას, 72 შემთხვევაში - საკუთრებას, ხოლო 62 შემთხვევაში - სიტყვის თავისუფლებას.**

15 შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ 1-ზე მეტი პასუხი. შესაბამისად, დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევათა და არა - პასუხების რაოდენობა.

ოჯახში ძალადობა/ძალადობის ფორმები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები (ქალები), ძირითადად, ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენას უსვამენ ხაზს (შემთხვევათა 83.6%), თუმცა ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობის შესახებ არცთუ მცირე მაჩვენებელი დაფიქსირდა (დაახლ. შემთხვევათა 56-58%%). ასევე საკმაოდ დამაფიქრებელი მაჩვენებელი აქვს სექსუალურ ძალადობას (შემთხვევათა 16.5%). ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა კვლევებთან შედარებით **მაჩვენებელი თვალშისაცემად გაზრდილია, რასაც** ორი ფაქტორი განაპირობებს: 1. მოცემულ კვლევაში **ჩართული არიან მხოლოდ ქალები**; 2. დროთა განმავლობაში **მეტი ადამიანი აცნობიერებს ძალადობის არსს**, ახდენს მის იდენტიფიცირებას და არ გაურბის აღიარებას. სხვადასხვა ჭრილში გამოვლინდა მსგავსი ტენდენციები. (იხ. დიაგრამა №7)

დიაგრამა №7[16]



16 შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ 1-ზე მეტი პასუხი. შესაბამისად, დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევათა და არა - პასუხების რაოდენობა.

როდესაც რესპონდენტებს (ქალებს) კონკრეტულად უნდა გაეცათ პასუხი, თავად ან მათი ახლობელი აღმოჩენილა თუ არა სიტუაციაში, სადაც განხორციელდა ძალადობა, ნახევარზე ოდნავ ნაკლებმა (48.4%, 486 რესპ.) გამორიცხა ამგვარი შესაძლებლობა. **პირადად აღმოჩენილა ძალადობის სიტუაციაში გამოკითხულთა 20.1% (202 რესპ.), ხოლო ახლობლების შესახებ მიუთითა 35.1%-მა (352 რესპ.).** აქვე გასათვალისწინებელია ის ფსიქოლოგიური ნიუანსი, რაც ხშირად ფიქსირდება მსგავსი გამოკითხვებისას - **რესპონდენტებს უფრო უადვილდებათ ისაუბრონ სხვა პირის მიმართ განხორციელებულ ძალადობის შემთხვევებზე, ვიდრე გააზიარონ საკუთარი გამოცდილება.**

სხვადასხვა ჭრილში გამოვლინდა მსგავსი ტენდენციები. თუმცა, იმ რესპონდენტებიდან, ვინც პირადი უსაფრთხოების დონეს მაღალ შეფასებას აძლევს („4“ და „5“ ქულა - სულ 358 რესპოდენტი), **212 მაინც საუბრობს, რომ პირადად ის ან მისი ახლობლები აღმოჩენილან ოჯახში ძალადობის სიტუაციაში - მათგან 100 შემთხვევაში დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის პირადი გამოცდილება. ზემოაღნიშნული, სავარაუდოდ, მიუთითებს ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირების და ზოგადად ძალადობის არსის აღქმის და გამჟღავნების პრობლემაზე საზოგადოებაში, მათ შორის, საკუთრივ ძალადობის მსხვერპლებშიც.**

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, **ყველაზე ხშირად, ოჯახში მოძალადის როლში გვევლინება ქმარი (4.0).** ქმრის ფაქტორი იმდენად ცალსახადაა გამოკვეთილი, რომ ჩამონათვალში არსებული ოჯახის სხვადასხვა სტატუსის მქონე პირები დაბალი შეფასების ველში მოექცნენ. ტენდენციები მსგავსია სხვადასხვა ჭრილის მიხედვით, თუმცა გამოიკვეთა, რომ **იმ რესპონდენტებიდან, ვინც აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი თავად ყოფილა (202 რესპონდენტი), 152 რესპონდენტი (75.2%) ქმარს, როგორც მოძალადეს, აფასებს მაღალი ქულებით („4“ და „5“).** (იხ. ცხრილი №3)[17]

ცხრილი №3

ოჯახში ვინ უფრო ხშირად იყენებს ძალადობრივ ქმედებებს?	საშუალო (Mean)
ქმარი	4.0
ცოლი	2.28
მამა	2.4
მამამთილი	2.39
დედა	2.1
დედამთილი	2.4
ვაჟი	2.25
ქალიშვილი	2.0

17 შენიშვნა: საშუალო მაჩვენებლები მოცემულია 5-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ ნიშნავს, რომ ძალადობრივ ქმედებებს არ იყენებს/თითქმის არ იყენებს, ხოლო ციფრი „5“ - ძალზე ხშირად იყენებს. სკალის ნეიტრალური წერტილი არის „3“. შესაბამისად, მონაცემები 3-ზე ქვემოთ წარმოადგენს დაბალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები 3-ზე ზემოთ - მაღალი შეფასების ველს.

ინფორმირება ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ

როგორც კვლევამ აჩვენა, **გამოკითხულთა თითქმის ნახევარი, ძირითადად, ინფორმირებულია ძალადობის მსხვერპლთა რამდენიმე მხარდაჭერის სერვისის შესახებ (49%).** არასდროს სმენია მხარდაჭერის სერვისების შესახებ 12%-ს (ტენდენციები მსგავსია სხვადასხვა ჭრილის მიხედვით).

აღნიშნული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების ორი ძირითადი წყარო გამოიკვეთა: არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა - შემთხვევათა 63.3% და სოციალური ქსელები - შემთხვევათა 57.5%. (იხ. დიაგრამა №8)

დიაგრამა №8

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ? N=1003



ამას გარდა, გამოვლინდა რამდენიმე ნიუანსური განსხვავება: ქუთაისში სოც. ქსელებს ანიჭებენ უპირატესობას (50 შემთხვევა) და ასევე - არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრას (37 შემთხვევა); იგივე ტენდენცია იკვეთება **ახალგაზრდებთან - 18-30** წ. - სოც. ქსელები (92 შემთხვევა), არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა (86 შემთხვევა); **ასევე 31-45 ასაკის რეპონდენტებთან** თითქმის თანაბრად გამოვლინდა: სოც. ქსელები (205 შემთხვევა), არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა (207 შემთხვევა). დანარჩენ ჭრილებში ტენდენციები მსგავსია. (იხ. დიაგრამა №9)[18]

18 შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ 1-ზე მეტი პასუხი. შესაბამისად, დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევათა და არა - პასუხების რაოდენობა.

დიაგრამა №9



ვისთვის ან მხარდაჭერის რომელი სერვისისთვის მიუმართავთ (ან მიმართავდნენ მომავალში) რესპონდენტ ქალებს ან მათ ახლობლებს/ნაცნობებს, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, თავის დაცვის მიზნით: რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით გამოიკვეთა 3 ძირითადი მხარდამჭერი სერვისი, როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო სექტორებიდან, კერძოდ: ადგილობრივი ხელისუფლება (შემთხვევათა 45%), პოლიცია - ზარი 112-ში (44.2%), არასამთავრობო (უფლებადამცველი) ორგანიზაციები (შემთხვევათა 37.8%). **რესპონდენტები ნაკლებად იყენებენ დანარჩენ ჩამოთვლილ სერვისებს, რაც კვლავ მიუთითებს მოსახლეობის არასაკმარის ინფორმირებულობაზე.** (იხ. დიაგრამა №10)

სხვადასხვა ჭრილში დაფიქსირდა მსგავსი ტენდენციები, თუმცა გამოვლინდა რამდენიმე ნიუანსური განსხვავება რეგიონების მიხედვით: **ჩოხატაურში** (სულ 115 რესპ.), **მიმართვიანობის კუთხით, ცალსახად გამოკვეთილია ადგილობრივი ხელისუფლება** (75 შემთხვევა 115-დან), **ხონში** (სულ 79 რესპ.) - ახლობლები-მეგობრები (27 შემთხვევა); პოლიცია/ზარი 112-ში (26 შემთხვევა) და ზარი ცხელ ხაზზე - 116 006 (25 შემთხვევა);

ამას გარდა, საინტერესოა იმ რესპონდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით, ვინც აღნიშნა, რომ **არავისთვის მიუმართავს და არც მხარდაჭერის სერვისებს იყენებს/გამოუყენებია.** (იხ. დიაგრამა №11)

მიზეზებს შორის, თუ **რატომ არ მიმართეს არავის/არცერთ სერვისს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში,** დასახელდა რამდენიმე, რომელთაგან ძირითადი - **ნეგატიური სახის პირადი ინფორმაციის გამჟღავნების შიშია:**

- შემეშინდა ოჯახის წევრების/ახლობლების/ნაცნობების უარყოფითი რეაქციის (17 პასუხი)
- არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა (11 პასუხი)
- ვიფიქრე, რომ მაინც ვერ მივიღებდი დახმარებას (25 პასუხი)
- არ მინდოდა, ჩემი პრობლემის შესახებ ინფორმაცია გახმაურებულიყო (77 პასუხი)

დიაგრამა №10[19]

პირადად თქვენ/თქვენი ახლობელი/ნაცნობი, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ვის ან მხარდაჭერის რომელ სერვისს მიმართავდით ან მიგიმართავთ თავის დაცვის მიზნით?
N=997



19 შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ 1-ზე მეტი პასუხი. შესაბამისად, დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევათა და არა - პასუხების რაოდენობა.

დიაგრამა №11[20]



ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობა

როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, გამოკითხული **რესპონდენტი ქალების ნახევარზე მეტისთვის (55%) ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები ნაკლებად ან სრულად არახელმისაწვდომია** (მათგან 36% მიუთითებს სრულ არახელმისაწვდომობას). (იხ. დიაგრამა №12)

სხვადასხვა ჭრილის მიხედვით ანალიზისას, რეგიონულ ჭრილში გამოვლინდა მცირე განსხვავებები: რეგიონულ ჭრილში: **ზუგდიდში -** რესპონდენტების 44.3%-ისთვის **უფრო ხელმისაწვდომია** ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები; **ქუთაისში - ხელმისაწვდომია** რესპონდენტების 49.3%-ისთვის, ხოლო **უფრო ხელმისაწვდომია** 22.4%-ისთვის; **სამტრედიაში** - რესპონდენტების 41.7%-ისთვის **უფრო ხელმისაწვდომია** ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები. **ჩოხატაურის** მუნიციპალიტეტში - გამოკითხულთა თითქმის 60%-ისთვის **სრულად არახელმისაწვდომია** აღნიშნული სერვისები; ბაღდათში - 53.47-ისთვის; წალენჯიხაში, სენაკსა და ქობულეთში - ასევე **სრულად არახელმისაწვდომობას** მიუთითებს რესპონდენტთა 41 - 43%%.

კვლევის მონაცემებიდან გამომდინარე, **ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით იკვეთება საზოგადოების ინფორმირების და აღნიშნული სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობა.**

20 შენიშვნა: დიაგრამაში მოცემულია პასუხების რაოდენობები

დიაგრამა №12

რამდენად ხელმისაწვდომია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები თქვენს საცხოვრებელ არეალში (ქალაქი, სოფელი)? N=1003



ოჯახში ძალადობის ძირითადი მიზეზები

როგორც კვლევამ აჩვენა, ოჯახში ძალადობის ძირითადი მიზეზების დასახელებისას, რესპონდენტებმა უფრო ხშირად **ის ფაქტორები გამოკვეთეს, რასაც პირადი უსაფრთხოებისთვის მთავარ საშიშროებად მეტ-ნაკლებად აღიქვამდნენ,** კერძოდ:

- ოჯახის წევრის ნივთიერებაზე დამოკიდებულება (ნარკოტიკზე - შემთხვევათა 51.7%; ალკოჰოლზე - შემთხვევათა 47.6%);
- ტრადიციული/სტერეოტიპული შეხედულებები (შემთხვევათა 42.2%);
- რთული ეკონომიკური მდგომარეობა (შემთხვევათა 40.3%)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის ფაქტორი, მოცემულ შემთხვევაში, მეოთხე ადგილზეა (შემთხვევათა 38%), თუმცა თითქმის თანაბარი მაჩვენებელი აქვს პირდაპირ კორელაციაში მყოფ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ამიტომ შესაძლებელია ამ ორი მაჩვენებლის ერთ კონტექსტში განხილვა. (იხ. დიაგრამა №13)[21]

21 შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ 1-ზე მეტი პასუხი. შესაბამისად, დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევათა და არა - პასუხების რაოდენობა.

დიაგრამა №13


რა არის ოჯახში ძალადობის ძირითადი მიზეზი? N=1003
რთული ეკონომიკური მდგომარეობა (სიღარიბე)
404; 40.3%
უმუშევრობა
381; 38%
ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებულება (ოჯახის წევრის)
519; 51.7%
ალკოჰოლზე დამოკიდებულება (ოჯახის წევრის)
477; 47.6%
ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები (ოჯახის წევრის)
330; 32.9%
ქალების, მამაკაცების და ბავშვების შესახებ ტრადიციული შეხედულებები, რაც გულისხმობს, რომ მამაკაცი არის ოჯახის უფროსი, რომელიც აღჭურვილია „განსაკუთრებული“ უფლებებით
423 ; 42.2%
მედიის გავლენა, სადაც ხდება პიროვნებაზე ძალადობის სცენების, ტერორისტული და ვანდალიზმის აქტების, სადიზმის და ა.შ. დემონსტრირება
228; 22.7%
ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური მდგომარეობა/არასტაბილურობა
222; 22.1%

დასკვნა

ოჯახში ძალადობის მიზეზების და ძირითადი საფრთხის განსაზღვრისას დასახელებული ინდიკატორები და ფაქტორები/ცვლადები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიღარიბე, უმუშევრობა და ნივთიერებაზე დამოკიდებულება, ასევე გენდერული სტერეოტიპები ან კულტურული კლიშეები და რწმენა-წარმოდგენები იზოლირებულად კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ როგორც ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ძალადობას და პიროვნულ საფრთხეს და ამავდროულად ნეგატიურად „აძლიერებენ" ერთმანეთს. მათი აღმოფხვრისთვის, უსაფრთხო გარემოს გაძლიერებისთვის აუცილებელია რიგი ღონისძიებების გატარება, რომლებიც, ძირითადად, დაიყვანება ორ ძირითად მიმართულებაზე: არსებული პროგრამების გაუმჯობესება (მოიცავს არა მხოლოდ გამრავალფეროვნებას, გაფართოებას, არამედ, პირველ რიგში, ხელმისაწვდომობის გაზრდას); კომუნიკაციის გაძლიერება (გულისხმობს: მოსახლეობის ინფორმირებას როგორც ძალადობის არსის და მისი გამოვლინებების, ასევე ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში მასზე რეაგირების საშუალებების შესახებ, ოჯახში ძალადობასთან ბრძოლაში სხვადასხვა აქტორის კოორდინირებულ ჩართულობას და მათი როლის მეტად გაძლიერებას და აქტიურ თანამშრომლობას რელევანტურ უწყებებთან/ორგანიზაციებთან და ა.შ.).

რეკომენდაციები

- ქალების/მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ეკონომიკური გაძლიერება, დასაქმების ხელშეწყობა (მათ შორის, ბავშვთა მოვლის სერვისების, მოქნილი სამუშაო გრაფიკის, დღის ცენტრების, საზაფხულო ბაღების და ა.შ. განვითარება);

- ქალების/მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა სასწავლო კურსის შეთავაზება (მათ შორის პროფესიული განვითარების, ბიზნეს პროექტის წერის კურსი და ა.შ.);

- გენდერულ სტერეოტიპებთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების კამპანიის უზრუნველყოფა მოსახლეობისთვის, მათ შორის, განსაკუთრებით სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის (ძალადობაგამოვლილი და ძალადობის მსხვერპლი ქალები, კრიზისული ოჯახების წარმომადგენლები, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები, მამაკაცები, ახალგაზრდები და ა.შ.). საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში რელევანტური უწყებების ჩართვა, მაგ.: შსს (საპატრულო პოლიცია, უბნის ინსპექტორები, მართლწესრიგის ინსპექტორები), ჯანდაცვის სამინისტრო - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (კრიზისული ცენტრების წარმომადგენლები (116 006; 111), სოციალური მომსახურების სააგენტო (სოციალური მუშაკები), ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები;

- იმ სარისკო ქმედებების გამოსარიცხად, რომელიც საფრთხეს უქმნის ინდივიდის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან სიტყვის თავისუფლებას - მუნიციპალიტეტების როლის გაძლიერება - სტრუქტურის, რომელიც ყველაზე „ახლოსაა“ მოსახლეობასთან და რომელსაც ყველაზე სწრაფად შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება და სათანადო რეაგირება. მათ შორის, მერის წარმომადგენლების და ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის სოციალური აგენტების როლის გაძლიერება;

- გაძლიერდეს მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირებული მუშაობა რეფერირების მექანიზმის სუბიექტებთან (მათ შორის, შსს-თან, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, მანდატურის სამსახურთან და ა.შ.);

- მუნიციპალიტეტებში უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის და მასზე დროული რეაგირების ქმედითი მექანიზმი;

- თანამშრომლობის გაღრმავება სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებს შორის, რომლებიც მთავარი სერვისის მიმწოდებლები არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის;

- ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების გაძლიერება და აღნიშნული პროგრამის შესახებ მოსახლეობის აქტიურად ინფორმირება;

- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების შესახებ მოსახლეობის მეტი ინტენსივობით ინფორმირება. უკვე არსებული ბენეფიციარებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, პროგრამების და დახმარებების გაუმჯობესებასა და დახვეწაზე ზრუნვა;

- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა (როგორც ფინანსური, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისით);

- არსებული პროგრამების/დახმარებების მონიტორინგის და შეფასების უზრუნველყოფა (მათ შორის ბენეფიციარების კმაყოფილების დონის გაზომვა);

- მუნიციპალიტეტების რელევანტური წარმომადგენლების, ასევე სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდა და მათი უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა;

- სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საინფორმაციო კამპანიის გაძლიერება. სკოლების თანამშრომლობის გაძლიერება რელევანტურ უწყებებთან.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობდა

ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:

ნინო კორინთელი

ეკატერინე გამახარია

მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდნენ

ქალთა ფონდი „სოხუმის“ ქუთაისის სათავო ოფისის

მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

ემა კამკია, გურანდა გვანცელაძე, თეა გოლეთიანი

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com;

fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi